დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველი მინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дрозба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თვის 11-ს „დროების“ რედაქცია ვილიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში, პოლიციის პირდაპირ, გადავიდა და ამის გამო ვსთხოვთ, დღეის შემდეგ, ვისაც ხელნაწერ რედაქციასთან რამე საქმე ექნებათ, ამ ადრესით მიმართონ.

საქართველო

გამგეობის ამორჩევა ქუთაისში

--

როცა ეს ნომერი მიეა ქუთაისს, იმ დროს იქ ერთი მოძრაობა იქნება.

16 სექტემბერს დანიშნულია ქუთაისში ქალაქის დეპუტატების (გამგეობის) ამორჩევა.

თუმცა სრულად არა, მაგრამ ქუთაისსაც ეღირსა ბოლოს, თავის დიდი ხნის ნატვრის შესრულება: ქალაქს მიენიჭა უფლება, რომ თავის შინაგანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ — საოჯახო საქმეები თვითონვე განაგოს ამორჩეული და დანდობილი პირების საშუალობით.

„თუმცა სრულად არაო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ქალაქის მოთავის არჩევა გამგეობაზე არ არის დამოკიდებული: იმას ჯერ-ჯერობით მთავრობა ნიშნავს *). მაგრამ, თავის საქმეების გამგეობაში ქალაქს ახლა უფრო მომეტებული მოეკითხება, ვიდრემ დღემდი.

ქუთაისში აქამდე თუმცა ამორჩეული დეპუტატები, მართალია, იყვნენ, მაგრამ იქნება იმათ უხეიროთ მიჰყავდათ ქალაქის გამგეობის საქმე.... ნამდვილი ეს არის, რომ ამ ქალაქის შემოსავალ-გასავალი მუდამ არეულ-დარეული იყო, შემოსავალი არასოდეს-გასავალს არ აუდიოდა, ქალაქს ვალი ედვა და ადვევს ახლაც, ქუჩები აქ ცუდია, ქუჩების განმანათებელი ფანრები და ადამიანის გონების განმანათებელი შკოლები მოეძეოდა. აცმა არ იცოდა თითქმის და, მგონი, არც ახლა იცის—საიდამ რა შემოდიოდა და სად, რაში და როგორ იხარჯებოდა ეს შემოსავალი.

ამას დაუმატეთ კიდევ ის ზიანი, რომელიც მიეცა ქუთაისს ფოთი-თფილისის რკინის გზის აცილებით, და მაშინ გაიგებთ მიზეზს—თუ რისგან დაეცა ეს ერთ დროს ცოცხალი და კარგი მომავალის მოიმედე ქალაქი.

ახალი გამგეობის ვალია, რამდენათაც შეუძლია, ეს სხვა და სხვა გვარი წყლულებანი შეუმსუბუქოს ქუთაისს. ბამგეობამ უნდა იცოდეს, რომ რაც უფრო ანგარიშით წაიყვანს ქალაქის საქმეებს, მით უფრო მოემატება მას შემოსავალი და რაც უფრო მომეტებული შემოსავალი ექნება, მით უფრო კარგათა და ადვილად მოახერხებს ყოველი მხრით ქალაქის გაუმჯობესებასა და გამშვენიერებას.

როგორც კერძო მამული შემოსავალს იმატებს და გამდიდრდება კარგი გამგებელის ხელში, აგრეთვე ქალაქიც შეიმატებს და გამდიდრდება კარგი, თავიანი გამგეობის წყალობით.

მაშ ეგრე, აირჩიეთ პატიოსანი, მცოდნე კაცები; ისეთი კაცები, რომელნიც საზოგადო საქმის გულ-შემატკივარნი არიან, რომელთაც ესმისთ და გაგებათ—თუ როგორ უნდა ქალაქს დახმარება და ნელ-ნელა შეუძლიანთ იმის წყლულებათა განკურნება.

ამისთანა კაცები ქუთაისში მოიპოვებიან; მხოლოთ მოძებნა უნდა იმათ.

ს. მესხი

დღიური

—

□ ოსმალოს საქართველოდამ (ჭობულეთიდამ), არეულობის თაობაზე, პირველი ცნობის შემდეგ, საუბედუროთ, ჯერ არაფერი არ მოგესვლია. ოზურგეთს გარდა, ბათუმშიაც გაეგზავნეთ წიგნი ერთ იქაურ ჩვენი გაზეთის ხელის-მომწერელთან და ვსთხოვეთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით შეგვატყობინოს, რაც მოხდება. ამნაირად იმედი გვაქვს, რომ იმ მოუთმენელ ინტერესსა და ცნობის-მოყვარეობას, რომელიც თუ არა აქვს—უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში ჩვენს საზოგადოებას, მალე დავაკმაყოფილებთ.

□ ჩვენ მოგვეიდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან პროგრამმა იუბილეისა, რომელსაც ეს საზოგადოება თავის 25 წლის არსებობის სახსოვრად დღესასწაულობს. აი, ამ დღესასწაულის რიგი:

პ ი რ ვ ე ლ დ ღ ე ს (25 სექტემბერს, ხუთშაბათს). შუადღეზე იქნება კრება საზოგადოების წევრთა, დეპუტატთა და იმ სტუმრებისა, რომელნიც საზოგადოებისაგან იქნებიან მოპატიჟებულნი. ლოცვა და ხელმწიფე იმპერატორისა და საზოგადოების მფარველის დ. მ. მიხაილ ნიკოლოზის ძის დღეგრძელობით მოხსენება.

საუკუნო განსვენება საზოგადოების დამაარსებელის მიხაილ სვიმონის ძის ვორონცოვისა და საზოგადოების მიცვალებული წევრებისა.

მ. ს. ვორონცოვის ძეგლი ამ დღეს გაჩაღებული იქნება.

საზოგადოების თავს-მჯდომარე კრებას გახსნის.

სეკრეტარი საზოგადოების მოქმედების მოკლე ისტორიას წაიკითხავს.

მისალმება სამეცნიერო საზოგადოებისა, დეპუტატებისა და სხვა პირებისა. დეპუტატებს, სტუმრებსა და წევრებს „საზოგადოების მოკლე ისტორიის“ დაბეჭდილს ბროშურას დაურიგებენ.

მ ე ო რ ე დ ღ ე ს (26 სექტ.). დილით. კრება საზოგადოების კოლექციასა და ადგილობრივი წარმოების ნიმუშებს დახედავს.

საღამოს იქნება სამეურნეო საუბარი.

მ ე ს ა მ ე დ ღ ე ს, დილით. დეპუტატები და სტუმრები დახედვენ რაც ქალაქში შესანიშნავი რამ არის.

საღამოს—მეორე სამეურნეო საუბარი.

მ ე ო თ ხ ე დ ღ ე ს, დილით. ლოჭინში წაველენ და იქაურ სამეურნეო შკოლას დახედვენ.

საღამოს—მესამე სამეურნეო საუბარი.

მ ე ხ უ თ ე დ ღ ე ს. დეპუტატები და სტუმრები ქალაქის არე-მარეს დახედვენ.

მ ე ე ქ ვ ს ე დ ღ ე ს, დილით. კრება საზოგადოების საპატიო და ნამდვილი წევრების ამოარჩევს და ჯილდოებს დაურიგებს იმ პირებსა, რომელნიც მეურმერობისთვის შრომობენ.

საღამოს. მეოთხე და უკანასკნელი სამეურნეო საუბარი.

მ ე შ ვ ი დ ე დ ღ ე ს. ბამოთხოვება, საზოგადოებაში მიღებული პირების ჯილდოების დარიგება და ახალი წევრების სახელების გამოცხადება.

□ „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ჩვენი ქალაქის მოთავეს, თ. ი. თუმანოვს სამზღვარ გარეთიდამ თხოვნა გამოუგზავნია, რომ ამ თანამდებობიდამ განმათავისუფლეთო.

□ სიონალიდამ გვწერენ, რომ ამ ქალაქში შემოუტანიათ ძიზიყიდამ უფ. შაქრო ნაცვლიშვილის ქარხანაში გაკეთებული ყველი და კარაქი, და იქაურებს ორივე ძალიან მოსწონებიათ. ამ წარმოებას ძიზიყში კარგ მოსავალს უქადიან: როგორც ამბობენ, ძიზიყში უკანასკნელი ოცი ათასი მეწველე ფურა იქნებაო და ამოდენი საქონლიდამ ამ ჟამად თიქმის სულ არაფერს რჩებიანო. ფურის პატრონი თათარს აძლევს ფურს თვეში ერთ გირვანქა ერბოთათ.

თუ უფ. ნაცვლიშვილმა, რომელმაც სპეციალურად ყველის წარმოების შესასწავლად რამდენიმე ხანი გაატარა შვეიცარიაში, მოახერხა ძიზიყის რძის ნაწარმოების გასაღება, უეჭველია, ამ მხრით დიდ შემწეობას მისცემს დალატაკებულს ქეზიყელებსა.

□ ამბობენ, რომ ზემო-იმერეთში (სიჩხერეში) წერეთლიანთ ტყეში ნავთი გამოჩენილა. აქას წინათ ერთ წერეთელთაგანს აღმოუჩენია ეს ნავთის წყარო, მაგრამ არაფისთვის არ გაუმხელია; საიდუმლოთ წაუღია ქუთაისს ჭაშნიკი და მცოდნე კაცისთვის უჩვენებია; ამას გაუსინჯავს და საუკეთესო ნავთი, პირველი ლირსების გამომდგარა. შემდეგ ეს კაცი წამოსულა და თავის მოზიარეებისთვის ტყის გარიგება უთხოვნია, სწორეთ ის მხარე ამოურჩევია, სადაც ნავთის წყარო ეგულებოდა. მაგრამ მალე ეს ამბავი სხვებსაც გაუგიათ და, რასაკვირველია, ალარ დაუთმიათ. ახლა, როგორც გვწერენ, ეს ნავთი ერთ მეგრელს აუღია, იჯარით, რამდენიმე წლითა და სარგებლობსო.

„აბა, ვნახოთო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, თუ ვინმე უცხო ქვეყნელს არ მიაჩეჩებენ პატრონები ამ თავის საკუთრებას და თუ ნაშოვნი ლუკმის პირში ჩადებას მოახერხებენო?!“

„დროების“ კორრესპონდენცია

Ахинвали, 31 აგვისტოს

ამ ცოტა ხანებში ბორის უეზდში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა: ერთი ბორში და ორიც სოფ. Ахинвалში. ბორის წარმოდგენაზე მე არ დავსწრებივარ და ამისათვის არ ვიცი როგორ წარმოადგინეს, მხოლოდ ეს კი გავიგე სანდო პირებისაგან, რომ ერთს ბაბუნიას ქალს ეთამაშა მშვენივრად.

აგრეთვე არ დავსწრებივარ Ахинвалში პირველ წარმოდგენას. მეორე წარმოდგენაზედ კი დავესწარი.

წარმოადგინეს „ბ ა ყ რ ა“ ბ. ერისთავისა, აგვისტოს 31-ს კვირა დღეს, უფ. ალექსანდრე ოჰანოვის სახლში.

საზოგადოთ წარმოდგენა ისე მშვენივრად წავიდა, რომ თვით თფილისშიაც იშვიათია ხოლმე ასე კარგად წარმოდგენა. აქერძოთ კი უნდა შევნიშნოთ ზოგიერთა პირებს: მაგ. მიკირტუმას როლის აღმასრულებელი ვასილ ტერ-აბრამიანცი აზვია-

---

*) ამ ჟამად ქუთაისში ქალაქის მოთავის თანამდებობას თ. ნ. ს. აბაშიძე ასრულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა თავის როლს და ხმასაც ძალას ატანდა; როდესაც კი თავის ბუნებით ხმაზედ წასცდებოდა ხოლმე ლაპარაკი, უფრო კარგად გამოდიოდა. ქ. ქობალაძემაც ვერ ასრულა კარგად ბარამის როლი: იმის ნაცვლად, რომ ყური უგდო ანდუყაფარის ლაპარაკისთვის და პასუხი მიეგო, ის ვილასაც ეჩხუბებოდა, და როდესაც ჩხუბი გაათავა, იმის მაგივრად რომ თავის როლიდამ ეთქვა, იმან დაიჩივლა, რომ მეჩხუბებიანო. აგრეთვე სუ'ტათ ასრულა ბაბრიელას როლი დ. შაველენიშვილმა: ისე უსიცოცხლოდ და უგრძნობლად ლაპარაკობდა, რომ კაცს მოლაპარაკე მაშინა ეგონებოდა. ქაცებში უნაკლულოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა—პაველეს როლი, ივანე მაჩაბელმა—ივანეს როლი და ნ. ბაბუნიამ — სეკრეტრის როლი. დანარჩენთაც ურიგოდ არ უთამაშნიათ.

განსაკუთრებით ქებისა და პატივის-ცემის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები. ამჟათ დასთრგუნეს ის ცრუმორწმუნოება, რომ ვითომც თეატრში თამაშობა უნამუსობა იყოს. მაგრამ რას ბრძანებთ, ბატონებო! აქ ცხინვალში არამც თუ თამაშობას, არამედ თვით თეატრში წასელასაც კი უნამუსობას ეძახიან ზოგიერთა ქალები. თუ ღმერთი გწამთ, დააყენეთ თქვენი წანკლიანი ენა და როდესაც თქვენ არ გინდათ მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეში, სხვას მაინც ნუ უშლით.

ნინოსი და შუშანის როლები აღასრულა ა. მაჩაბლისამ; მაკრინესი და თათელასი—მეფემია მაჩაბლისამ, ეარდაშვერდისა— ა. ალექსეისამ. სამივემ თავიანთი როლები კარგად აღასრულეს. მაგრამ უმშვენიერესად, უნაკლულოდ და სწორედ რომ არტისტიულად აღასრულა თავისი როლები მეფემია მაჩაბლისამ.

იმედი გვაქვს, რომ ეს ქალები ზოგიერთების ყბედობას ყურს არ უგდებენ და კელავაც არ მოაკლებენ საზოგადოებას თავიანთ თამაშობას და ერთი-ორად გაამშვენიერებენ წარმოდგენას.

წარმოდგენის დროს ზოგიერთა პირებმა წაიკითხეს: „ქალი რომელი თვეა,“ „ზღაპარი“, „სიმღერა მკის დროს“ აკაკისა, „მუშა“ და „ნანა“ ილ. ჭავჭავაძისა, „საკვირველი ამბავი“ ანტ. ფურცელაძისა. ზაალ მაჩაბელმა წაიკითხა ერთი ძველი ხელთ-ნაწერი ლექსი „ბლოვა წვერის მოპარსვაზედ.“ ამის წაკითხვაზე მაყურებელთ უფრო ბევრი იცინეს, რადგანაც ამ ლექსის შინაარსი ეხებოდა წამკითხველს, რომელმაც მოიპარსა წვერი წარმოდგენის გულისათვის.

ხალხი იმდენი იყო, რამდენიც კი დაეტეოდა ზალაში, ე. ი. ასამდინ სული. ამაზედ მეტი კიდევ თხოულობდა ბილეთებს, მაგრამ აღარც ბილეთები და აღარც ზალაში ადგილი აღარ იყო. დამსწრენი მეტის-მეტად მხიარულად იყვნენ და 'კმაყოფილნიც დარჩნენ.

წარმოდგენიდამ ფული სულ 33 მანეთი შემოვიდა. აქედამ, ხარჯს გარდა, რვა მანეთი დარჩა.

მადლობის ღირსია ალექსანდრე ოჭანოვი, რომელსაც სახლი უფასოთ ეთხოვებინა და მასპინძლობაც გაეწია აქტიორებისა და აქტრისებისათვის.

ი. ბაქრაძე

იმერეთის სამღვდელოების ყრილობა

1, 2, და 3 ამ სექტემბერს შეკრებილება ჰქონდათ იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას სასულიერო სასწავლებლის საქმის შესახებ.

პირველ დღეს დეპუტატები შეიკრიბენ დილით ერთ დიდ სასწავლებლის ოთახში. საღამოს ორმოცდა ექვს დეპუტატში ცოტა ოდენი აკლდა. თუმცა წინანდელ ყრილობების თავსმჯდომარემ ყრილობას გამოუცხადა, რომ მეორე დღეს გადაედვათ თავსმჯდომარის აღრჩევა, მაგრამ დეპუტატებმა ითხოვეს იმ საღამოსვე გაეთავებინათ და ერთ ხმად სთხოვეს მ. დ. ღამბაშიძეს ამ ყრილობაშიაც დარჩენა უკენჭოთ. მაგრამ თავსმჯდომარეს თხოვნით, ჰყარეს კენჭი მღვდლის ღამბაშიძის თავსმჯდომარედ არჩევაზე და ყველა მსურველების ხმა აღმოუჩნდა, გარდა ერთისა. საქმის მწარმოებლად იყო ამორჩეული, ამავე ხმის უმეტესობით დეპუტატი მღვდელი ლუკა ბახტაძე.

მეორე დღეს ამორჩევის პროტოკოლი წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოს და თავსმჯდომარეც და საქმის მაწარმოებელი ორნივე დაამტკიცა. ამ დღეს დილით დეპუტატები შეიკრიბნენ ყველანი ხსენებულ ოთახში.

მოვიდა თუ არა თავსმჯდომარე, გამოუცხადა დეპუტატებს თავ-თავის ადგილას დაბრძანება. ცოტა ხანს შემდეგ ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი მობრძანდა ყრილობაში და დეპუტატებს მისცა წინადადება ოთხ კლასიანი სასწავლებლის ცალკე აშენებისა ანუ მოსამზადებელი კლასის და პარალელი განყოფილების ოთახებისა და საზოგადო შაგირდების ბინის აღშენებაზე, ამას გარდა მისცა სხვა და სხვა დარიგება დეპუტატებს შესახებ მათი მღვდელობის მოვალეობისა, და შინ წაბრძანდა.

როდესაც თავსმჯდომარემ დაიჭირა თავისი ადგილი და თავისი მხრით წინადადებები უნდა მიეცა დეპუტატებისთვის, ამ დროს სობოროს კლიუჩარმა მღვდელმა რაჟდენ ზიგაუროვმა დაუწყო მას ლაპარაკი, რომლის შინაარსაც გადმოგცემთ:

მ. ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. თქვენ წინეთ, როდესაც დეკანოზი იყო ხოლმე თავსმჯდომარედ, ამბობდათ, რომ ის თავსმჯდომარედ როგორც სასწავლებლის სამმართველოს წევრი არ უნდა ყოფილიყო და დღეს რატომ დგებით თავსმჯდომარედ?

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. მე ეგ არაოდეს არ მითქვამს. მე ვიყავი წინააღმდეგი მხოლოთ იმისა, რომ დაფარული კენჭის ყრის ნება არ ეძლეოდა დეპუტატებს. ყველასთვის ცხადი იყო უქაზი უწმინდესი სინოდისა, რომელიც ამბობს, რომ თავსმჯდომარე ყრილობაში დაფარული კენჭის ყრით უნდა იყოს აღრჩეული და არა გამოჩენილი ხმითაო.

მ. ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. ეგ თუ გინდა ეგრე იყოს, მაგრამ გუშინ ყველა დეპუტატები არ ყოფილა და რიგი იყო ვინემდის ყველანარ მოვიდოდა და ანუ მოუსველელობის ანბავს არ შეიტყობდით, საქმეს არ უნდა შედგომოდით. ჩვენთვინაც არაფერი შეგიტყობინებიათ.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. როდესაც ყრილობის დანიშნული დღე გამოცხადებულია, ყველა დეპუტატი ვალდებულია დანიშნულ დროს გამოცხადდეს. თუ ავათ არის, აცნობოს თავსმჯდომარეს წინდაწინ. ეს საგანგებოთ ყველას გამოცხადებული ჰქონდა კიდევაც ყოველად სამღვდელოსაგან ცირკულიარის მიწერილობით და მე როგორც თავსმჯდომარე არც ვალდებული ვარ და არც შეძლია, რომ ყრილობის დროს ცნობები შეკრიბო: ვინ რა მიზეზით არ გამოცხადდა. ამას გარდა კანონია, რომ თუ ყრილობაზე ორი წილია წევრებისა და ყრილობამ საქმის შედგომა ისურვა, მე არა მაქვს უფლება, რომ მათი სურვილი არ ავასრულო.

„მე თავსმჯდომარედ ეოფნის სურვილი გავაცხადე იმისთვის კი არა, რომ რაიმე სარგებლობა ენახო აქედამ, იმისთვის, რომ პირველად თვითონ დეპუტატებმა მთხოვეს, მეორედ რაიმე სარგებლობა იქნება მოუტანო ჩვენს საზოგადო საქმესა, თორემ ამ თანამდებობისაგან მე, დარწმუნდით, არაფერს სარგებლობას არ ეხედავ. მაგრამ თუ მსურველი ერთი მაინც გამოჩნდება ვინმე, მე დავანებებ ამ თანამდებობას თავს და თქვენ ინებეთ კენჭის ყრა.

მ. ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. არა; მე მისთვის კი არ ვამბობ ამას, რომ მე მსურდეს თავსმჯდომარეობა, იმისთვის ელაპარაკობ, რომ თქმის ნება მაქვს და შემიძლიან, რომ ვილაპარაკო რაც საქმეს შეეხება.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. თქვენ და სხვასაც სრული უფლება გაქვსთ ილაპარაკოთ აქ, მაგრამ დაბრძანდით და ისე ილაპარაკეთ და ხმის რჩევაში კი არა გაქვსთ უფლება გაერიოთ ამისათვის, რომ თქვენ, ეგონებ, დეპუტატი არ ბრძანდებით.

ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. მე დეპუტატი მგონია ჩემი თავი.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბოდეთ მიბოძოთ თქვენი მარწმუნებლების ქაღალდი, რომ სწორეთ დეპუტატათ ხართ არჩეული.

ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. მე მაგისთანა ქაღალდი არა მაქვს.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშ მე თქვენ დეპუტატათ ვერ გიცნობთ.

ზ ი გ ა უ რ ო ვ ი. მეკი ეცნობ ჩემ თავს დეპუტატათ.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. თქვენ იქნება სხვა ნაირადაც სცნობდეთ თქვენს თავს, მაგრამ ჩვენ ისე არა ვსცნობთ. მე გთხოვეთ, თუ აქ მოხვედით, რომ რამე საქმეში მოგვეხმაროთ, დაბრძანდით და ჩვენს მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეთ. და თუ არა;—გთხოვეთ დრო მოგვეცით, ჩვენ საჭირო საქმეზე მოვილაპარაკოთ და თუ ამასაც არ ისურვებთ, შეგიძლიანთ მიბძანდეთ სადაც გნებავსთ.

ამ სიტყვების შემდეგ მღ. ზიგაუროვი გავიდა გარეთ.—

(ბაგრძელება იქნება)

რუსეთი

✱ ფინანსთ სამინისტროს გამოანგარიშებით, მომავალ წელს ხაზინას უნდა შემოუვიდეს: თითოეულს სულზე გადასახადი—56,706,300 მანეთი, მიწის ღალის გადასახადი — 33,995,002 მან., პოლშიდამ (ხარჯი და გადასახადი)—7,604,674 მანეთი; სახაზინო მიწის გადასახადი—7,456,951 მან., გამოსასყიდელი ფული სახაზინო და სახელმწიფო გლეხებისა—6,540,492 მან., ქალაქებისა და სოფლების უძრავი ქონების გადასახადი—4,168,963, საზოგადო მოკრება—3,376,475, პოლშის გუბერნიების უძრავი ქონების და აგრეთვე სამღვდელოების შესანახავად შემოტანილი ხარჯი—2,369,421 მანეთი.

✱ ზზათ სამინისტროს ჟურნალში“ გამოცხადებულია რიცხვი იმ პირთა, რომელთაც 1874 წლის განმავალობაში რამე უბედურება შეემთხვათ რუსეთის რკინის გზებზე. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის განმავალობაში მხოლოთ 25 პასაჟირს (მოგზაურს) მოსელია მარცხი რუსეთის რკინის გზებზე; ამას გარდა დამარცხებულა 198 გარეშე პირი და 773 თვითონ რკინის გზაზე მოსამსახურეები.

✱ ათი ახალგაზდა ქალი წასულა ამას წინათ ოდესიდამ პეტერბურღში იქაურ საქალებო კურსებში სასწავლებელად, რომელიც მედიკო-ხირურგიის აკადემიასთან არის გახსნილი. ყველას ოდესის საშუალ სასწავლებლები ჰქონიათ გათავებული; ყველა ურიის ქალები არიანო.

✱ ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი დონის ჯარის მიწიდამ იწერება, რომ აქ შესდგა კომისია, რომელშიაც ყველა წოდების ხალხი არის მოწვეულიო და რომელმანც უნდა განიხილოს — თუ როგორის წესით და მიმართულებით უნდა დაწესდეს აქ ახალი საერო წყობილობაო. კომისიას ძალიან მარჯვეთ მიჰყავს მუშაობაო ასე, რომ იმედია ამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში ის თავის ჰაზრს უმაღლეს მმართველობას წარუდგენს დასამტკიცებელათაო.

უცხო ქვეყნები

ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲒᲐ. ის ექვსი სახელმწიფოს გაგზავნილი კაცები, რომელთაც გერცოგოვინელები და Ოსმალოს მთავრობა უნდა შეერიგებინათ, პირველად შეყრილან აგვისტოს 31-ს მოსტარში. რჩევის დროს თავსმჯდომარეთ იმათ Ოსმალოს წარმომადგენელი სერვერ-ფაშა ამოურჩეევიათ. ᲐᲛᲐᲗᲘ მოლაპარაკების შედეგი, როგორც უკანასკნელი ფოჩტით მოსული გაზეთებიდამ სჩანს, ის ყოფილა, რომ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲘᲡ და ᲑᲝᲡᲜᲘᲘᲡ ხალხს მართლაც დიდი ხარჯი აწვესო და ადგილობრივი Ოსმალოს მთავრობაც ავიწროებს იმათაო. ᲐᲛ უცხო ქვეყნების აგენტებს ერთ ხმად გადაუწყვეტიათ, რომ იმათ მმართებლობამ Ოსმალოს მთავრობასთან იშუამდგომლოს, რომ ამ აჯანყებულ ქვეყნებში ცელილებები მოახდინოს და ეს შეივიწროებული მდგომარეობა მოსპოს.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐ აგენტები წასულან აჯანყებულების ბანაკებში იმათთანაც მოსალაპარაკებელად და დასათანხმებელად, რომ თუ ომიანობას მოსპობენ, მომავალში Ოსმალო იმათ მდგომარეობაში მონაწილეობას მიიღებს.

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡᲔᲕᲔ აჯანყებულების მოთავე კაცებსაც თავიანთი ყრილობა ჰქონიათ, რომელზედაც, სხვათა შორის, გადაუწყვეტიათ, რომ არამც-და-არამც თოფ-იარაღს არ დაჰყრიან, სანამ თავის წადილს არ შეასრულებენ. ᲐᲛᲐᲕᲔ კრებაზე აჯანყებულებს გადაუწყვეტიათ, რომ საზოგადო სარდალს არ ამოირჩევენ, რადგან აჯანყებულების სარდლობა და წინ წაძღოლა მალე ჩერნოგორიის მთავარმა ნიკოლოზმა უნდა იკისროსო; საზოგადო სარდლის მაგივრად, ახლა რვა მოთავე კაცი დაუნიშნავთ. ᲐᲛᲐᲡ გარდა ჩერნოგორიის მთავრის სიმამრი მუკოტიჩი თავის დანდობილ კაცად ამოურჩეევიათ და მოსტარში შეკრებილ მეროპის ელჩებთან გაუგზავნიათ სათქმელად, რომ იმათ Ოსმალოს მთავრობის დაპირების არა სწამთ რა. ᲙᲠᲔᲑᲐᲡ გამოუცხადებია აგრეთვე, რომ აჯანყებულების ჰაზრი ის არისო, რომ გამარჯვების შემდეგ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲐ და ᲑᲝᲡᲜᲘᲐ ჩერნოგორისა და სერბიას შეუერთდესო.

— ᲔᲠᲗᲡ ინგლისურს გაზეთში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი:

„ᲔᲠᲝᲠᲞᲘᲡ სახელმწიფოების შუამაველობამ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲐᲨᲘ ვერაფერი ვერ გაარიგა. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რუსეთს განზრახვა აქვს, ხალხთა შორის კონფერენციის დანიშვის წინადადება მისცეს ᲔᲠᲝᲠᲞᲘᲡ სახელმწიფოებსა, რომელზედაც უნდა მოიღებ-პარაკონ იმაზე—თუ როგორ უნდა გაუმჯობესონ Ოსმალოს ახლანდელი მდგომარეობა. მაგრამ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ და ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, რომელთაც, უეჭველია, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ და საფრანგეთიც შეუერთდებიან, ამ საგანს Ოსმალოს შინაურულ საქმეთ სთვლიან და ამის გამო კონფერენციაზე თანახმანი არ არიან“.

ᲡᲔᲠᲑᲘᲐ. ᲒᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲡᲘ არის ამ ჟამად სერბიის სკუპსჩინის კომისიაში იმის თაობაზე—თუ როგორი ადრესი უნდა წარადგინოს იმან იმ სიტყვის პასუხად, რომელიც ამას წინათ სერბიის მთავარმა მილანმა სთქვა სკუპსჩინის გახსნის დროს. მომეტებული ნაწილი კომისიის წევრებისა იმ აზრის არიან თურმე, რომ ამ ადრესში Ოსმალოსთან ომის გამოცხადებაზე არაფერი არ უნდა იყოს მოხსენებული, ეს საგანი თვითონ მმართებლობას მივანდოთო. ᲣᲤᲠᲝ მცირე ნაწილი კი თხოულობს, რომ ადრესში პირ-და-პირ მოვიხსენიოთ სერბიის ხალხის სურვილი, რომ Ოსმალოს ომი გამოუცხადონ. რადგან ეს ორი პარტია ვერ დათანხმებულა, ამის გამო ამბობენ, კომისია ორი ადრესის პროექტს წარუდგენს სკუპსჩინასაო და რომელზედაც დათანხმდებიან, იმას დაამტკიცებენ და წარუდგენენ მთავარსაო.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. პარიჟში ერთი პატარა წიგნი (ბროშურა) გამოვიდა, სახელად „პასუხის-გება. წერილი გრ. შამბორთან ერთი პროვინციელი აზნაურისა“. როგორც ეტყობა, ბროშურის ავტორი ორლეანელი უნდა იყოს. ის ამბობს, საფრანგეთში რომ ამ ჟამად მონარხია არ არის დაფუძნებული, ეს სულ გრაფ შამბორის ბრალი არისო, იმან შემთხვევა გაუშვაო, როდესაც ადვილად შეეძლო საფრანგეთის ტახტზედ ასულიყოო; მაგრამ ისეთი ჯიუტობა გამოიჩინაო, რომ არაფერი არ დაუთმო ლიბერალებსაო, და სხვ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ამ ჟამად რომ ზოგიერთი ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲔᲚᲘ დეპუტატები მოელენ ᲤᲠᲝᲨᲓᲝᲠᲨᲘ შამბორის სანახავად, იმათ ეტყვის გრაფი ამ ბროშურის პასუხსაო.

— საფრანგეთის ხმელთა შუა ზღვის ფლოტის ადმირალმა ლარონსიე—ლენურიმ მისწერა ამას წინათ ბონაპარტისტების ერთს კრებაში დამსწრე კაცს წიგნი, რომელიც ამ კრებაშივე წაიკითხეს. ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ ადმირალი აცხადებს, რომ, თუმცა ის თანაუგრძნობს მაკ-მაჰონის მმართებლობას, მაგრამ დარწმუნებული ვარო, რომ ამ მმართებლობას დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნებაო, ხალხს უნდა მოეკითხოს—რაგვარი ფორმა ჰსურს იმას მმართებლობისა, რესპუბლიკა უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულებაში აძცირებს საფრანგეთის ღირსებასაო და სხვ. ᲐᲛᲐᲡ ამბობს ერთი უწარჩინებულესთაგანი პირი მმართებლობისა, რომელიც ყველაზედ პირველად ვალდებული უნდა იყვეს, რომ კანონიერად დამტკიცებული კონსტიტუცია დაიცვას. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲭᲘᲣᲤᲭᲘ ძალიან ეწინააღმდეგებოდა ამ ბონაპარტისტის დათხოვნას; მაგრამ მმართებლობა იძულებული შეიქნა, რომ დაითხოვა სამსახურიდამ ლარონსიე-ლენური და მის ნაცვლად ადმირალი როზა დაენიშნა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

37

ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲧᲝᲒᲘᲚᲔᲑᲐ

—

ᲐᲛ სახიდ ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲘᲡ დროს საქართველოს მიჯნებად ჰქონდა: კავკასიის მთები, ᲔᲜ�გᲣᲠᲘᲡ მდინარე, შავი-ზღვის პირი ვიდრე ᲑᲣᲗᲘᲨᲮᲐᲜᲔᲛᲓᲔ; მერმე მთები, საიდგანაც გამომდინარეებენ ᲭᲝᲠᲝᲮᲘ და სხვანი პალაკაციოს ტბამდე, შემდეგ კიდევ მთის სუკები, რომელთაც ᲓᲔᲑᲔᲓᲐᲡ მდინარის მარჯვენივ გაჰყვებიან ვიდრე მტკვრამდე და ბოლოს ᲐᲚᲐᲖᲜᲘ თავის მარცხენა მხრის მთის მდინარეები - თურთ. ᲔᲡ სიერცე შეადგენდა ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲘᲡ სამეფოს, და იყო დაყოფილი საერისთოებად, რომლის მმართველებიც იყვნენ ერისთაები. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘ, ამბობს ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ თავის ისტორიის მე-25 გვერდზე, ჰშველოდნენ ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲡ სამეფოს მმართველაში და ასრულებდნენ მეფის ბრძანებას; მაგრამ თვითოეულს იმათგანს თავის საერისთოში მეფური მნიშვნელობა ჰქონდა, და მამას თავის სიკვდილის შემდეგ თავის შვილისათვის მემკვიდრეობითი ერისთაობის უფლების გადაცემის ნება. ᲔᲡ უფლება იყო ქართველი ერის ფეოდალური ცხოვრების შედეგი, რომელიც დაიწყო ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡᲘᲡ სიკვდილის შემდეგ იმის შვილებით და დროს განმავლობაში უფრო და უფრო დამტკიცდა, რადგან საქართველოს მიწა-წყლის სიმდიდრე ამაში იმათ ხელს უწყობდა. ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲘᲡᲐᲒᲐᲜ ამ უფლების დამტკიცების შემდეგ დაიწყო, პირველად: უფლება მიწა-წყლის მფლობელობისა, როგორც გვარეულობის საკუთრებისა: საქართველოს ერი გაიყო ხუთ კეცად კერძო-პირებისაგან მიწა-წყლის დაპყრობის უფლება ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲛᲐ იმისათვის დაამტკიცა, რომ ეს უფლება მამულის მოყვარეობასა, მხნეობასა და სამშობლოს მტრისაგან დაცვის სურვილს აღვიძებდა ქვეშევრდომებში. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲡ წყობილებით აიხსნება, რომ 38 საუკუნოების განმავლობაში ქართველი ერი ებრძოლა და ძლიერს მტრებს თავის უფლების დესაცველად და მტერი იმას ვერ ამარცხებდა; მაგრამ როცა მეფეებმა ამ ფეოდალურის წესის მოშლა დაიწყეს, მაშინ ერის სიმტკიცე შეირყა და კიდეც დამარცხდა.

ᲔᲡ კეცები იყვნენ შემდეგნი: 1) მთავრობა ანუ ერისთაობა; ეს კეცი უდრიდა ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲘᲡ ფეოდალებს; 2) აზნაურობა, უდრიდა რაინდობას; 3) მოქალაქობა, 4) მსახურება და მე-5) გლეხობა.

მთავრები ყველანი, როგორც ამბობს ᲗᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ, მე-12 გვერდზე, ქართველის შთამამავლობისანი იყვნენ; მაგრამ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ამბობს, რომ მთავართ შორის ერევნენ იმისთანა გვარნიც, რომელნიც უცხო თემის მეფის შთამამავლობისაგან წარმოებდნენო, და ეს მართალიც არის ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲓ კი, როგორც ამბობს მატიანე, იყვნენ ᲐᲖᲝᲜᲘᲡ ჯარის კაცები, რომელნიც ᲤᲐᲠᲜᲐᲕᲐᲖᲡ მიემხრნენ. ᲧᲕᲔᲚᲐ ერისთაევები მთავრის შთამამავლობისანი იყვნენ. მთავრებს არამც თუ დიდი სიერცის მიწა-წყალი დაესაკუთრებინათ და ჰყვანდათ ყმა, არამედ, როგორც მეფეებს, ჰყვანდათ ქვეშევრდომად აგრეთვე აზნაურებიცა, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ ყმა და მამული. მაგრამ მეფის აზნაურები თავადის აზნაურებზე მეტნი იყვნენ. ᲗᲐᲮᲣᲨᲢᲘ ამბობს იმავე გვერდზე, რომ აზნაურსა აქვნდა გვარი და ჩამამავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნები, და ძალ-ედვა გამოსვლა მარქაფითა კარვითა და მათთა გწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ᲐᲛᲐᲗ შემდეგ იყვნენ ვაჭარნი, მსახურნი და გლეხნი. ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ ამ წოდებაებისა დაზვარებული იყო წინაშე სამართალისა. მთავარი იყო დაფასებული 10960 მანეთად, როგორც ჰსწერს მეფე ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ თავის კანონების მე-26 მუხლში, და მერმე ამბობს, რომ „ᲔᲡ სისხლის გან.ჩენები, რაც დაგვიწერია, ძველად დადებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რა.“ ᲐᲮ სახით ყველა წოდების სისხლი იყო დაფასებული ზეიდამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეიდამ ზეით ერთი ორად, ამბობს ᲗᲐᲮᲣᲨᲢᲘ. ᲐᲛᲐᲖᲔ უფრო დაწერილებით ლაპარაკს მე საჭიროდ აღარ ვრაცხ; მაგრამ ვისაც ჰსურს დაწერილებით შეიტყოს, იმას შეუძლიან წაიკითხოს ᲗᲐᲮᲢᲐᲜ�გ მეფის კანონები, რომელნიც დაბეჭდილნი არიან 1846 წელს გამოცემულს ჩუბინოვის ქართულს ქრისტომატიაში.

ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲡ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚ - ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲒᲘᲡᲐ

—

VI. ᲒᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲐ.

40) ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ სესხათ ფულს მხოლოდ თავისს წევრებს აძლევს.

41) ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ამხანაგს თვითონ შეუძლიან უთავდებოთ ისესხოს ფული არა უმეტეს ერთისა და ნახევრისა, რაც მას ამხანაგობაში წილადი ანუ ამის ნაწილი ფული შეუტანია.

42) ᲗᲣ ერთსა და ნახევარზედ მომატებული ფულის სესხი ისურვა წევრმა, მაგრამ იმაზედ მომატებული კი არა, როგორც მოხსენებულია 49 მუხლში, უნდა მოეთხოვოს თავდებობა ერთისა ანუ რამდენიმე ამხანაგობის წევრისა.

43) სრული სესხის ზომა (მუხ. 41 და 49) შეიძლება მიიღოს წევრმა ერთიანათ ანუ ნაწილ-ნაწილად.

44) ᲧᲝᲕᲔᲚᲘ წევრი შეიძლება იყოს თავდებათ ერთის ან რამდენიმე წევრისა მხოლოდ იმოდენა სესხათ ასაღებ ფულისათვის, რომ არ აღემატებოდეს მის წილადი ფულის ნახევარსა (მუხ. 44).

45) რომელმა წევრმაც სხვა წევრის ვალში თავდებობა იკისრა, აღარ აქვს უფლება ისესხოს მხოლოდ იმდენი, რამთენშიაც თავდებათა დგას. (მუხ. 44)

46) როდესაც ფულს სესხულობენ, ბარათი უბრალო ქაღალდისა ერთმევათ. ᲗᲣ ფულის ამღებმა ან თავდებმა წერა არ იცის, იმის მაგივრათ გარეშე პირისაგან ბარათზე ხელმოწერით უნდა შემოწმდეს გამგებლობაში დასწრებით ორის მოწამისაგან.

47) ᲑᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ აძლევს სესხს მოთხოვნის ჯერითა; თუ მოთხოვნილება იმოდენაა, რომ ყველას დაკმაყოფილება უფულობის გამო არ შეიძლება, მაშინ სესხი ეძლევა უ-

წინარეს მთხოვნელ', როგორც ჩაწერილი იქნება ამ მოთხოვნილებისათვის დანიშნულ ცალკე წიგნში (მუხ. 110 პ. ვ.).

48) ამხანაგობის წევრს თუ უარი უყვეს ფულის სესხებაზედ ანუ არ მიჰხედეს იმ ჯერს, როგორც დადგენილია 47 მუხლში, შეუძლიან საჩივარი შეიტანოს რჩევაში. (მუხ. 86 და 91 პ. დ).

49) უდიდესი ზომა სესხისა ყველა წევრებისათვის მეტი არ უნდა იყოს სამის ზომით მომატებული წილადს ფულზედ (მუხ. 14)

50) უდიდესი ზომა სესხისა (მუხ. 40) შეიძლება კიდევ გადიდდეს, გარდაწყვეტილობით საზოგადო კრებისა (მუხ. 107 პუ. ლ). მხოლოდ ყოველთვის არა უმეტეს ერთი ორათ მომატებით, რაც ახლა არის ზომა და მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრების სამი წილისაგან ორს წილს სრული წილადი ფული ექმნება შემოტანილი.

51) სესხი მიეცემათ ვადით არა მომეტებულათ ცხრის თვისა.

52) ნასესხის ფულის ვადა რომ გავა, თუ საზოგადო კრებისაგან ახალი ვადის მიცემა ნება დართულია (მუხ. 107 პუ. დ), შეიძლება მიეცეს როგორც მთელის სესხისა, აგრეთვე იმის ნაწილისა კიდევ ახალი ვადა, მაგრამ არა მომეტებულ სამის თვისა და, თუ ამ ნასესხზედ თავდებები არიან, უთუოთ იმათი თანხმობაც უნდა იყოს ანუ სხვა თავდებები უნდა დადგნენ.

53) მეორე ახალი ვადის მიცემა არა შემთხვევაში არ შეიძლება.

54) ამხანაგობის წევრს შეუძლიან ნასესხი ფული ვადაზედ წინათაც დაუბრუნოს ან ერთიანათ ანუ ნაწილ-ნაწილად; უკანასკნელ შემთხვევაში მანეთზედ ნაკლებ არ უნდა იყოს. ამასთანავე აღებული წინად სარგებელი (მუხ. 57) დაუბრუნდება, მხოლოდ სრული თვეებისა, რამდენიც ვადამდინ დარჩენილია.

55) სარგებლის ზომა, რომელსაც ამხანაგობა იღებს გასესხებულს ფულზედ, უთუოთ უნდა აღემატებოდეს არა ნაკლებ ორის სარგებლით, რომელსაც თითონ ამხანაგობა იხდის სასარგებლოთ შემოტანილ ფულისათვის და ვალისათვის (მუხ. 30 და 39). სარგებლის ზომა უნდა დანიშნულ იქმნას საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. გ) წინათვე ყოველ ექვსის თვისათვის.

56) სარგებლის ზომის შეცვლა გასესხებულს ფულზედ (მუხ. 55) შეეხება მხოლოდ მის შემდეგ გასესხებულს ფულსა.

57) სარგებელი მსესხებლებს უნდა დაეჭიროთ ფულის გასესხების და ახალი ვადის მიცემის დროს.

58) თუ მოვალე ნასესხს ფულს ვადაზე არ შემოიტანს, მაშინ გარდახდევინება ვალისა დაეკვეთება მის კუთვნილებას ამ ქვემოხსენებულის ჩამოყოლილ რიგით:

ა) სასარგებლოდ შემოტანილს ფულს;

ბ) ქონებას; და

გ) წილად ფულს ანუ ამის ნაწილსა.

59) თუ მოვალის ამ კუთვნილებამ ვერ შეავსო ვალი, დანაკლისი გარდასახადი უნდა დაეკვეთოს იმავე ჩამოყოლილ რიგით იმის თავდებების კუთვნილებას:

ა) სასარგებლოდ შემოტანილს ფულს;

ბ) ქონებას და

გ) წილად ფულს ანუ ამის ნაწილს.

60) მას შემდეგ გადაუხდელი წილი ვალისა არის ამხანაგობის ზიანი, რომელიც უნდა დაიფაროს საფუძვლისა მებრ მუხ. 71.

61) უპირო მოვალის ქონებიდამ ვალის გადახდევინების დროს, გაისყიდება ადგილობრივ სოფლის გამგებლობისაგან ანუ პოლიციისაგან ჯერ მოვალის მოძრავი ქონება და შემდგომ უძრავი.

62) ქონების გასყიდვა (მუხ. 61) მოხდება სასოფლო გამგებლობაში ანუ პოლიციაში, მოვალის საცხოვრებელს ადგილას, არა უგვიანეს შვიდის დღისა, ამხანაგობის გამგებლობის მოთხოვნილების შემდეგ და —თანა დასწრებითი მისის ექილისა.

63) არ გაეყიდებათ ამხანაგობის ვალისათვის უპირო მოვალის და თავდების ქონებისაგან: საჭირო ავეჯი, ყოველ დღე საცმელი ტანისამოსი, ხორაგეულობა და შეშა რაც ერთს თვეს სახლის შენახვას მოუნდება, იარაღები, რომელიც საჭიროა მის ხელობისათვის და ოფლებში, ამას გარდა სადგომი სახლი ეზოთი, ერთი ცხენი, ერთი ძროხა, ერთი ურემი და ერთი მარხილი თავის შესაბამი მასალით და ოცდა ხუთი ფუთი თესლი. სხვა ამას გარდაია ყველა დანარჩომი ქონება უპირო მევალისა და თავდებისა უცილობლათ გაიყიდება.

64) ვადაზედ შემოუტანელს ფულზედ უნდა გარდაეხდევინოს მოვალეს სარგებელი იმ დღემდე, ვიდრე სულ შეაესებს და ჯარიმა თვეში თვითოეულ მანეთზედ თითო გროში და ყოველივე ხარჯი რაც მოვა მის ქონების გაყიდვაზედ. ქონების გასყიდვამ დარჩენილი, რაც ვალს და ამ ვალის გარდახდევინებას, სარგებელს, ჯარიმას და მოსული ხარჯს გადარჩება, დაუბრუნდება ქონების პატრონს.

65) თუ ნასესხი ფული უნდა გარდახდეთ თავდებებს, მათ ეძლევათ შვიდის დღის ვადა ფულის შესაესებლათ და ამ ვადის შემდეგ უნდა გარდახდეთ, თანხმად 58—64. მუხ.

(მაგრძელება)

განცხადებანი

მესამე წელიწადია, რაც მე **მოსწავლეების ბინა** მიჭირავს ქ. ქუთაისში. დღეს თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ ეს ბინა ჯერ უსარგებლო არ ყოფილა საზოგადოებისათვის. მართალია, ამისთანა საქმეს საზოგადოთ ყველასი მომადლიერება არ შეუძლია, არ შეუძლია მისთვის რომ მოსწავლეების კეთილ-დღეობა მარტო ბინის მზრუნველზე არ არის დამოკიდებული.

თუ ვინმეს რამე სასაყვედურო აქვს ჩემს ბინაზე და ან აწი შეხვდეს, უმორჩილესად ვსთხოვ, გაზეთში გამოაცხადოს. ჩვენ ვეცდებით, ან თავი გავიმართლოთ მასთან და ან (თუ ჩვენი თავი ვსცანით დამნაშავეთ) თავიდან ავიშოროთ ის ნაკლულოვანება, რომელსაც ჩვენ დაგვიმტკიცებენ. ამით, როგორც ბინას, ისე საზოგადოებას მოუტანთ სარგებლობას.

მოსწავლეების რიცხვი წარსულ წლებში ხუთმეტიდამ ოცდა შვიდამდის ადიოდა. მოსწავლეების ბინას ყოველთვის კარგი მასწავლებლები ჰყავდა მეტადრე ამუკანასკნელ წელს სინიდისიერათ მშრომელ და თავის საქმის მცოდნე მასწავლებლების მოწყალებით იმ ცამეტ მოსწავლეებთაგან, რომლებიც გიმნაზიაში მისაღებათ წარვადგინე, მხოლოდ ერთმა ვერ დაიჭირა ეკზამენი. სხვები მიიღეს მეორეში, მეოთხეში და მოსამზადებელ კლასებში. პირველი კლასისთვისაც გვყავდა ყმაწვილები, მაგრამ ვაკანსიის უქონელობის გამო, გიმნაზიის მთავრობამ ეგზამენი არ დააჭერინა და ამიათვის ინინი დარჩნენ მოსამზადებელ კლასში.

მომაელისათვის, იმედი მაქვს, უფრო კარგათ წავა ბინის საქმე, თუ საზოგადოებამ თანა უგრძნო და თავის დროზე შემოიტანა ის მცირე ფული, რომელსაც ჩვენ მას ვახდევინებთ.

ყმაწვილის ჩემს ბინაში შენახვისათვის მშობელს წლის გასვლამდი გადახდება ორასი მანათი. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი ლოგინი, ტანისამოსი, სტოლის იარაღი და წიგნები.

დაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება მოსწავლეების ბინაში, რომელიც არის **ალექსანდროვსკის** ქუჩაზე უ. ქეჟერაძის სახლებში.

მოსწავლეების ბინის მზრუნველი
ს. ძიმისტარიშვილი

ახალგაზდა კაცს ჰსურს ასწავლოს შაგირდებს პროგიმნაზიის კურსიდამ. საგნებს გარდა შეუძლიან ასწავლოს ენები: ქართული, სომხური, რუსული, ფრანფუზული და ლათინური.

ილებს აგრეთვე შაგირდებს თავის სახლში მდგმურებად (პანსიონერებათ). დაწერილებითი პირობებისათვის მსურველს შეუძლიან მიმართოს: სუბ-ნიშნის ქუჩაში, ტერ-აკოფოვის სახლებში, აბესალომოვის სახლების პირ-და-პირ.

(4—1)

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საქართველოს
გატოლნისშვილი
ისტორიული რომანი
გ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში **ისყიდება** მეორე გამოცემა **ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა**, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. **ფასი** ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ძერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 7 სექტემბ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $33^1/_8$ პენსი.	—	84
პარიჟში $339^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	40
მოგებიანი (პირველისესხი)	223	--
მოგებიანი (მეორე სესხი)	221	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	93	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	40
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	210	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 11 სექტემ.		
პური შორაგალის ფთ.	1	5
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	20
—ამერიკისა, ფუთი. .	—	--
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	80
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	15
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Сентября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.